№ 6 წელიწადი პირველი ფასი 2 კაპ.

# სახალხო გაზეთი

**რედაქციისაგან**

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყვეს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

**გაზეთის ფასი:**

**ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.**

**წლის დამლევამდე 75 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართათვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა ჰუტენბერგისა, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩების კუთხე

კვირა, 18 ოქტომბერი. 1909 წ. კვირა, 18 ოქტომბერი.

კვირას, 18 ოქტომბერს, 1909 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და ბ-ნ ს. სვიმონიძის მონაწილეობით

## ◆„ორი ობოლი“◆

მელოდ. ძ მოქმედებად. თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, მ, მღივანი, ნ. ჯავახიშვილი; ვ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამრეკელიძე, ნ. გვარაძე. ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ყივიძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ. დამ, 5 მან. მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან, 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

საღამოს გამგე კნ. ელ. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.

გაიხსნა ტფილისის კერძო ახალი

## სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი** ვ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღ ე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე** ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ., დღეს; კვ. გარდა 11—12 საათ.

**ბედევანიშვილი** მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**ბურკო** ზ. ა. შინაგ შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი** ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$ $3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი** გ. ბ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს

**მანსვეტოვი** ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი** ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12 | 1 ს.

**მუსხელიშვილი** ვ. ს. თვალის, ორშ. ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირალოვი** რ. ზ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი** ზ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე** ნ. კბილ. ყოვ. დღ: 9—11 საათ.

**სობოლევსკი** ზ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე** ი. ე. დედაკ. სნებით, ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი** ე ზ. მიკრ. ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა.

(50—5)

ვოგზლის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ს. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. **გოგართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$1^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. **მუსხელიშვილი**—სამშ, ხუთშ., შაბ., 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ზ. ა. **პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. ზ. **ფედოროვი**—ყოველ დღე ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავათმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი. მორიგებით.

(50—5)

სამშაბათს, 20 ოქტომბერს ტფილ. სის სკრედიტო საზოგადოების დარბაზში, ერევნის მოედანზე

## ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ

გამართული იქნება **საცეკვაო საღამო** საკონცერტო განყოფილებით.

სამხედრო ორკესტრი, მანდოლინელთა ხორო, საზანდარი,

## ცეკვა კოტილიონით საზოგადო ბუფეტი.

შესასვლელი ფასი 1 მან. 10 კ., მოწაფეთათვის 50 კაპ.

საღამოს დიასახლისი კნეინა თარხან-მოურავისა

ექიმმა

## პ. არდაზიანმა

განაახლა ავადმყოფების მიღება.

ბავშვების და შინაგან ავადმყოფ.

ადრესი: კუთხე მელიქოვის და ალექსანდროვის ქუჩა ინდენტანსტვოს პირდაპირ. 9-ე საპ. უბანში.

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათ, საღამოთი 5—7 ს.

3

რადგან განვიძრახეთ ალექსანდრე ყაზბეგის დაუბეჭდავ ლექსების გამოცემა, ამისათვის ვთხოვთ, ვისაც-კი ამ მწერლის ახალგაზრდობის სურათი მოეპოვება, მოგვაწოდოს შემდეგის ადრესით: ნაძალადევი მაგისტრალნი ქუჩა, № 2, **გრიგოლ ჩარკვიანს**. დ ბეჭდვის შემდეგ სურათი ახლად დაბეჭდილის ერთის ცალით, მადლობით დაუბრუნდება პატრონს.

(10—4)

**ტფილისი, 18 ოქტომბერი.**

ოცი წლის წინათ დასავლეთ საქართველოში სცადეს ჩაის მოყვანა. ცდამ მშვენივრად ჩაიარა. პირველად გააჩინეს ჩინური ბუჩქი, შემდეგ შეიტანეს ცეილონის ჯიშისა და ამან ხომ მოლოდინს გადააჭარბა. როგორც რუსული გაზეთი „კაპეიკა“ გადმოგვცემს, ცეილონის ჩაის ბუჩქი ჩვენში გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე მის სამშობლოში კუნძულ ცეილონზე.

თუმცა საქართველოს უხვი ბუნება ასე ხელს უწყობს ჩაის მოყვანის საქმეს, რუს მწარმოებლებმა მაინც იმდენად ვერ გააფართოვეს მისი მოშენება, რომ ჩაი ოდნავ გაიაფებულიყო. მათ ისიც-კი ვერ შეიგნეს, რომ ცეილონის ბუჩქი განსხვავებულ მოვლის წესს მოითხოვს და არა ჩინურს, რომელიც ჩინურ ბუჩქისათვის პირველად იყო შემოღებული. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია ინგლისელ ლიპტონს, ინდოეთში და კუნძულ ცეილონზე დიდ პლანტაციების მფლობელს, „ჩაის მეფედ“ წოდებულს. მას გამოუგზავნია მცოდნე პირები ადგილობრივ პირობების შესასწავლად და თანაც დიდი მამულები აუღია იჯარით ცეილონის ჩაის მოსაშენებლად. გაზეთი დასძენს, ახლა მაინც უცხოელის მეოხებით ჩაი ყველასათვის ხელ მისაწდომი გახდებაო.

ძალიან საეჭვოთ მიგვაჩნია ასეთი მოლოდინი. უცხოელი კაპიტალისტი ხალხისთვის თავს არ გაიცხელებს. უფრო საფიქრებელია, იგი თავის მილიონებს კიდევ რამდენიმე მილიონს მიუმატებს, ადგილობრივ მემამულეებს კი გროშებით დააკმაყოფილებს.

ოკეანეს იქიდან მოდიან აქ, ჩვენ ქვეყანაში გასამდიდრებლად, ჩვენ, ამ ქვეყნის შვილნი გულხელ დაკრეფილნი შევყურებთ, აცა როდის მოიღებენ ჩვენზე მოწყალებას და ოთხ თუმნიან ადგილს გვაღირსებენ სადმე კანცელარიაში.

სად არიან ჩვენი ნასწავლნი? საჭირო თანხა არა გვაქვსო, გვიპასუხებენ. განა ხელოსნობაა მი-

ეზი? არა და ათასჯერ არა. ყოველ ვარი საქმე პატარიდან დაიწყებოდა, თანდათან გაფართოვდებოდა. პარა თანხანს ჩვენ ღარიბ ჯიბეებიაც საამხანაგოთ ადვილად შევაროვებდით.

თუნდ გავიხსენოთ „ჩაის მეფე“ იბსტონი. ჩვენ არ ვიცით მისი ოფა-ცხოვრება, ვფიქრობთ-კი, ათას მთხვევაში იქნება ერთხელ შევცეთ, რომ ლიბსტონების მგზავსი წინდელი „მეფეები“ წარმოებისა ულ მცირე საქმიდან იწყებდნენ, „ჯარის კაცობას“ ასრულებდნენ წარმოებაში.

საქმის ძალას საქმეშივე სწავლობდნენ, თანდათან „მეფის“ ხარისხამდინ მიაღწევდნენ. ჩვენ ვინ მოგვცემს მზა-მზარეულად გაწყობილ საქმეს. ხომ არავინ! მაშ... დასკვნა თქვენთვის მომინდვია, მკითხველო.

## ნუ თუ მართალია?

სოფელ ნორიოში 27 დუქანია და არც ერთი სკოლა.

სოფელ აკეთში სამი სკოლაა და არც ერთი დუქანი.

## მთვარეს,

მთვარევ! გამზრდელი ტიალო!
გაბრუნდი, გამეცალეო,
არა მწამს შენი ალერსი,
სიკვდილი დამაცალეო.

—

გახარებული რას დამცქერ!
შენც გნახავ მტირალს მალეო,
შენც ჩემებრ დაიბურები
ნისლით დღეს, ანუ ხვალეო!

—

მაშ მითხარ რაღას კაშკაშებ,
რაღას ციმციმებ, — მთვარეო?!
შენის ცქერითა ნაღველი
ჩუხ-ჩუხით გადმოვღვარეო!

—

გეყოფა! ღმერთი იწამე
გრძნობა ნუ დამაძალეო,
ცას ვფიცავ, სულით ხორცამდის
სრულიად მოვიშალეო!

—

ნუ თუ, არც გული გქონია,
არც კაცის შებრალებაო?
გრძნობავ! შენ მაინც გამშორდი,
მოიღე მოწყალებაო!

—

მთვარევ! გეყოფა გაბრუნდი
გამშორდი გამეცალეო,
სულთ-მობრძავს, სულის ამოსვლა,
სიკვდილი დამაცალეო!..

ალ. ყაზბეგი.

## გულის პასუხი

გულო! მაგდენი ნაღველი
ნეტა სად მოგიხელია?
ან ერთხელ შენი ამბავი,
რად არსად გაგიმხელია?

—

გულმა სთქვა: ჩემი ნაღველი,
სათქმელად მეტად ძნელია...
სიცოცხლე, სხვისთვის ნათელი
ჩემთვის შავი და ბნელია...

—

დედა მომიკვდა პატარას
და მარტოდ დავრჩი ობლადა,
დედი ნაცვალმა გამაგდო,
აღარ მიმიშვა სოფლადა.

—

წაველ!.. სადაც კი გაველი,
სადაც გადავდგი ფეხია,
იქ დამხვდა მწარე ნაღველი,
თავში დამეცა მეხია!..

—

რომ ვისმეს გაჭირვებაში,
ძმურად მოეცა ხელია, —
არ მახსოვს სწორედ იმ დღიდგან,
რაც თვალი ამიხელია!..

—

სადაც მივსულვარ, ძალ-ღონე
ვისთვისაც შემილევია, —
იმისგან სავსე ფიალა
ნაღველი დამილევია!

—

ბაითალმანი დავდივარ,
დღე ღამედ ჩამბნელებია,
ჩემს ადგილს მევე უცხო ვარ
და კერა ჩამბნელებია!..

—

დავსუსტდი, ღონე მომაკლდა
სიცოცხლე გამჭირვებია
ამ ტიალს წუთი სოფელში,
ერთხელ არ გამხარებია!..

ა. ყაზბეგი.

## კარტოფილს და ბადრიჯანს მეორე ზაფხული დაუდგა.

ქ. ტფილისში, საბურთალოზე, სადაც მაღაზნებია დასახლებული, მაკაროვის ბაღს ხურით მოძღვარი ივანე ტერ-ვართანოვი მომიჯნავეთ გაუხდა. შესყიდული მიწა ბაღის გასაშენებლათ შეაკეთა. კვდაბრუნა მიწა ნახევარ არშინზედ სიღრმით და გაურია გადაბრუნებულ მიწას ახალი სასუქი. როდესაც სასუქი გადაიწვა და მიწას გაუერთდა, მაშინ ვაზი ჩაყარა. ვაზებ შუა დათესილმა კარტოფილმა და ბადრიჯანმა ამ შემოდგომით, შემდეგ აყვავების მეორეთ ნაყოფი გამოიტანეს. ბადრიჯანს და კარტოფილს ჩვილი ნაყოფი აბიათ. ჩქარა მემამულე მეორეთ [illegible] [illegible]. ვგონებთ ჩვენი გამოცდილი აგრონომები გამოიკვლევენ მიზეზს ამ ბუნების მოვლენისას და სახალხოთ გამოაცხადებენ თავიანთ აზრს. ასეთი მოვლენაც ქ. ვილნის მაზრაშიაც ყოფილა. იწერებიან გაზეთებში, რომ თბილი დღეების გამო ტყეში ხელ მეორეთ გაჩნდა წელს საჭმელათ მარწყვი, მალინა და წაბლი მეორეთ დაუგავილდნენ.

ი. წინამძღვრიშვილი.

## გლეხთა ავლა-დიდება

(რუსულ წყაროებით)

უშველებელი მასალა ერობათა და კერძო პირთა მიერ შეკრებილი რუსეთის თითქმის ყველა კუთხიდან მეტი ერთფერს და დაბეჯითებით პასუხს იძლევა: იგი შეუბრალებლივ აკანონებს, რომ გლეხის ოჯახს ყველგან გასავალი მეტი აქვს შემოსავალზედ, იმიტომ ადამიანურ ცხოვრებისთვის, მეურნეობის გაუმჯობესობისათვის და ცხოვრებაში წინ-წაწევისთვის გლეხს არა აქვს რუსეთში ძალ-ღონე...

აი ანგარიში სემეონოვის მაზრის საერობო მმართველობის გამოყვანილი 4 წლის მოსავლის საშუალო რიცხვიდან.

საშუალო შეძლების ოჯახს უნდება წელიწადში:

| | | | |
|---|---|---|---|
| არყ. ფქვ. | 86 ფ. | = | 58 მ. 75 კ. |
| კარტოფ. | 24 ფ. 5 გ. | = | 5 მ. 39 კ. |
| ქვიშნა | 5 ფ. | = | 70 კ. |
| ზეთი | 1 ფ. 7 გ. | = | 4 მ. 79 კ. |
| საკორკოტე | 3 ფ. 8 გ. | = | 4 მ. 79 კ. |
| ცერცვი | 5 გ. | = | 52 კ. |
| წმინ. ფქვ. | 10 ფ. 1 გ. | = | 18 მ. 53 კ. |
| ხორცი | 3 ფ. 4 გ. | = | 10 მ. 20 კ. |

## ივრის ხეობის რამე-რუმე.

(გაგრძელება *)

### ჩვენებური უსაქმურობა.

ამ დროს ჩვენ მიუახლოვდით ივრის პირას მდებარე ერთ დიდ ნაჭერ მიწას, ესე იქნება 130 დესიატინა; გარშემო ოთხივ კუთხეს სულ არხები აქვს, ასე რომ ადვილად ირწყვება, მშვენიერი დაცემული ერთიანი ადგილია. ზედ ორ სართულიანი სახლი დგას, რომლის ახლოს კარგა მოზდილი ვენახია გაშენებული. ადგილი დაუმუშავებელია, შიგ მხოლოდ რამოდენიმე ძირი თივა დგას, სხვა არაფერი.

— ვისია ეს უპატრონოთ მიგდებული ადგილი? მკითხა ჩემმა თანამგზავრმა.

— ეს ადგილი ოდესმე საეკლესიო ყოფილა; შემდეგ, როდესაც ეკლესია-მონასტრებს მამულები ჩამოერთოთ, ხაზინაში გადავიდა; შემდეგ მთავრობამ რაღაცაში ერთ ჩვენებურ შეძლებულ თავადიშვილს მისცა; იმან კიდევ, რასაკვირველია, ვერა გამოადნო-რა, ბოლო და ხუთას თუმნად გაყიდა ერთ ბაქოელ მდიდარზედ.

— მერე სად იყვნენ თქვენი აგრონომები, რომ ვიღაც ბაქოელს დაანებეს ეგ მშვენიერი სარწყავი მიწა, ეგრე ახლო მდებარე თბილისზედ. ეგ მიწა ხუთ და მეტ ოჯახს გამოჰკვებავს კარგად.

— მაგის პატრონი ხუთიოდე ძირ თივას ძლივსა სთიბავს და ოციოდე კოდ ღალას ძლივს იღებს, უპასუხა იქვე მდგომ გლეხმა და ხუთს ოჯახს როგორ გამოკვებავს? ამის საქმე სხვა არის, იმას სახელისთვის აქვს.

— უბედურებაც ეგ არის; რომ 130 დესეტინა კარგს მიწაში მეტს შემოსავალს ვერ ახერხებთ; იმას თუ სახელისთვის აქვს, მაშასადამე მეტი ყოფილა იმისთვის, თქვენთვის სახრავადაც კარგად გამოდგებოდა. აი ეხლა მთელს რუსეთში აუარებელ იონჯის და სხვა-და-სხვა საკვებ ბალახეულების თესლსა თხოულობენ. მე ამას ვიწერ საფრანგეთიდგან და ფუთს 18 მანეთ ნაკლებ ვერა ვყიდი. სად არიან თქენი აგრონომები? რატომ არ წაავლებენ ხელს ამ ნამდვილ შემოსავლიან და სანდო საქმეს ხელს? იფიქრეს როდისმე ამაზედ თქვენმა აგრონომებმა? დარწმუნებული ვარ — არა.

— მაგას ფული უნდა, თანხა. ჩვენი აგრონომები-კი მაგ მასალაზედ ძალიან მწყრალად არიან, ვუპასუხე მე.

— სულ ტყუილია! გამაწყვეტინა ჩემმა თანამგზავრმა. თქვენ საქმე შექმენით, საქმე სახეირო, შემოსავლიანი და ფული ადვილად გამოჩნდება.

—

### უცხოელი ჩვენში.

მე 22 წლისა ვიყავი, როდესაც კავკასიაში გამოვემგზავრე ჩემ სამშობლოდგან.

მლეთში რომ ჩამოვედი, ხუთი თუმანი-ღა მქონდა. აქედგან ფეხით დავიწყე თბილისისკენ მგზავრობა. თან ბუნებას, მცხოვრებლებს ვეცნობოდი, თან გზა და გზა გარეულ ყვავილების ძირებს ვაგროვებდი. გზაში ერთ მაღალ მთის კალთაზედ კინაღამ მწყემსებმა არ გამცარცვეს და უკანასკნელი ხუთი თუმანიც არ წამართვეს. მაგრამ ჩემმა რევოლვერმა ადვილათ დააფრთხო იგინი. ამათ მე მაინც ვერ შემაშინეს. გავავსე ერთი დიდი ტომარა ყვავილების ძირებით და ჩამოველ თბილისში. აქედგან დავიწყე მოგზაურობა, რომ გამეცნო კავკასია, მომეძებნა ჩემი ხელობისათვის ადგილი და საქმე. ჩემი ხელობა მებაღე-მებოსტნეობაა, ყვავილების მოვლა-გაშენება. მოვიარე თითქმის მთელი კავკასია. არ მიშვია განჯა-ერევანი, ყარსის ოლქი, ბათუმ-ქუთაისი, კახეთი და ზაქათალა. ბოლოს დავბინავდი თბილისში და...

— და შეჰქმენ ეგ საკუთარი საქმე, რომელიც ეხლა ხელში გაქვს, არა?!

— შეჰქმენ საკუთარი საქმე!.. რა ადვილად იტყვითო! აბა სწორეთ იმიტომაა, რომ იშვიათად ახერხებს ქართველი საკუთარი საქმის შექმნას და მის საფუძვლიან დონეზედ დაყენებას, რომ მაშინვე სოვდაგ-

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 5.

16 ფ. 1 გ. = 8 მ. 25 კ.

ჯამი 111 მ. 80 კ.

…ხსენება არაა ჩაიზე, შაქარზე, …აქოზედ.

| | |
|---|---|
| …სამოსი და ფეხ- …ცმელი უნდება | 81 მ. 71 კ.*) |
| …ნლის შენახვა და …ნვენტარის ხარჯი | 91 მ. 64 კ. |
| …მწიფო ხარჯი | 12 მ. 93 კ. |

სულ მცირე 303 მ. 36 კ.

…სევე ოჯახი შოულობს წელი-…ში:

| | | | |
|---|---|---|---|
| …. პური | 45 ფ. | 2 გ. = | 30 მ. 74 კ. |
| …ერია | 23 ფ. | 2 გ. = | 13 მ. 80 კ. |
| …შნა | | 8 გ. = | 48 კ. |
| …ტოფ. | 24 ფ. | 6 გ. = | 5 მ. 41 კ. |
| …ო | 5 ფ. | 8 გ. = | 8 მ. 18 კ. |
| …ის აბები | 5 ფ. | 5 გ. = | 15 მ. 40 კ. |
| …. ნამჯა | 83 ფ. | 3 გ. = | 10 მ. 16 კ. |
| …. ნამჯა | 39 ფ. | 4 გ. = | 5 მ. 48 კ. |
| …და ბურ. | 19 ფ. | 5 გ. = | 3 მ. 90 კ. |

სულ 93 მ. 55 კ.

…ამასთან საქონლიდან ანგარიშო-…, რომ 91 მ. 64 კ. ხარჯსაც …ზღაურებს და თანაც სარგებლო-… მოუტანს წელიწადში 19 მ. 18 …სოთ. ამიტომ გამოდის, რომ შუა …ძლების ოჯახს სემენოვის მაზრაში …მოსდის წელიწადში 205 მ. მხო-…ლოდ გადის 303 მ. და 36 კ. და-…კლისია წელიწადში 88 მ. 36 კ.! …აი ეს სულ მცირედ ნაანგარიშე-… დანაკლისი ავალებს იქაურ გლეხს …ლელამე მოკაკულ კოვზებს სთლი-

*) ბ. შჩერბინას ეს ხარჯი ასე გამო-…ავს: საჭმელთან ტანისამოსს ისეთივე შე-…მება აქვს, როგორც 32: 35-თან.

დეს, ილრჩობოდეს ქარხნების მყრალ გარემოებაში, ურაკუნებდეს მთელი დღე კვერს და სხვ... სემენოვის მაზრაში დიდი მუშაობაა გლეხისა ოჯახ გარეთ, რომ არ დაიხოცნენ შიმშილით...

ზ. გულისაშვილი.

## სიღნაღის მაზრა

### I.

ჩვენს მხარეს პურის მოსავალს ვერ დავემდურებით. ხოლო ღვინომ გვიღალატა, გამოსავალი ძლიერ ნაკლები ჰქონდა. ასე იფიქრეთ, რომ შარშანდელ მოსავლისა, ერთი მესამედი ძლივს დადგა, მაგრამ ღირსებით-კი ძლიერ კარგია. ეს ხუთი წელიწადია ჩვენში ძლიერ დაბალი ღირსების ღვინო დგებოდა (საზოგადოთ) იყო შიგა და შიგ კარგი ღვინოები ისიც აბეჩხარ და კარგ მოვლილ ვენახებში. საბედნიეროთ წვენი ბევრი ჰქონდა და ღირსება კი ძლიერ ნაკლები. როგორც წყალივით მოვიდა, წყალის ფასათვე წავიდა, ბევრმა ნაქირავებულ ქვევრებს სავსე ღვინით თავი დაანება, რადგან ქირის ფასს ვერ იღებდა: წლეულ-კი ძლიერ კარგ ფასშია ღვინოები.

ასე წარმოიდგინეთ, რომ ჩაფი ორ მანეთად ტკბილი იყიდებოდა; თხლეზედ თითქმის შვიდ თუმანზედ ნაკლები არ არის. იმედია კიდევ მოემატება ფასები და ცოტათი მაინც ამოისუნთქავს გლეხი კაცი, მაგრამ საუბედუროთ ბრალი მას, ვისაც პაწია ვენახი აქვს, იმისი ნაწვავ-ნადაგი მაინც წყლის ფასათ მიაქვთ მოვახშეებს. ვეჯინის ვაჟბატო-

ნი, გაჭირების ტალკვესი, მაგრამ დაკრეფის დროს გლეხების დამღუპავი მაინც ჩაფს მანეთზე მეტათ არ იღებს. იმისთვის არც მოსავლობაა არც მოუსავლობა. მართალია, სიკეთეს სთესავს ხალხში ან სიკვდილია, ან ქორწილია უმართავს გლეხს ხელს, მაგრამ ნაცვლად სამუდამოთ მოვალეთ იხდის და მის ქ-რნახულის ბატონ-პატრონი ხდება.

—ონავ.

## გურია

### სიმშილის მოლოდინი გურიაში.

ძნელი ასაწერია ყოველივე ის, რაც ხდება დღეს გურიაში. გურული გლეხი, რომელიც მდიდარი იყო ყოველივე მოსავლით: სიმინდით, ღვინით, ლომით დღეს ამის ნახევარს მაინც მოკლებულია, უმრავლესობა გლეხებისა იძულებულია მიუხედავათ ასეთი ცუდი მოსავლისა, ყოველივე გადასახადი გაიღოს. ამიტომაც არის, რომ მეტი ნაწილი თებერვლის შემდეგ თავის საკვებ სიმინდს ყიდულობს, მერე ის გლეხი ყიდულობს იმ სიმინდს, რომელიც მან გადასახადების გამო გაყიდა. ფუთ სიმინდს გლეხი გაჭირვების დროს 50 კ. ყიდის, ეხლა კი ყიდულობს 1 მ. და 1—20 კ. ამას ზედ დაერთვის ქურდ-ბაცაცების თარეში, რომელიც უმთავრესათ გლეხებს დიდ ზარალს აყენებს. მაგალითად, თუ რომელიმე სოფელში მოხდა ძარცვა-გლეჯა, ადმინისტრაცია იქ აყენებს ეგზეკუციას, რომლის ძალითაც სთხოვს ქურდ-ბაცაცებს, და გლეხები იძულებულნი არიან, სანამ რაიმე კვალს მიაგნებდნენ, უკანასკნელი ლუკმა აძლიონ ეგზეკუციას.

ამას ზედ დაუმატეთ ავათმყოფობა, ისეთ ოჯახს ვერ ნახავთ, ავათმყოფი არ იწვეს და ბევრი უწამლობის და უსახსრობის გამო ესალმება წუთი-სოფელს. აი ასეთ მდგომარეობაშია დღეს გურული გლეხი, შიმშილი კარს უკაკუნებს, თუმცაღა ბევრს არ სჯერა, გურიაში შიმშილი, მაგრამ ვინც ჩაუკვირდება და გადახედავს გურიის მდგომარეობას, ის დარწმუნდება, რომ სიმშილის აჩრდილი გურიაში უკვე მოსჩანს და ვნახოთ მომავალში როგორ ხასიათს მიიღებს.

—

### სწავლა-განათლება გურიაში.

მიუხედავად ამისა რომ გურიის გლეხი ასეთ მდგომარეობაშია, ის მაინც უკან არ იხევს, დიდი ალტაცებით ეგებება სწავლა-განათლების საქმეს.

გავიხსენოთ მომავალი რეალური გიმნაზია. თუმცა ამ საქმეს ბევრი ბნელი ძალები ჰყავდა ხელის შემშლელი, მაგრამ გურულმა გლეხებმა მაინც დაამტკიცეს, რომ მათ ესაჭიროვებათ სწავლა-განათლება. ამის გარდა აარსებენ სოფლებში სამკითხველოს, იწერენ გაზეთებს და სხვა.

—

### გენ.-გუბ. გურიაში.

ამას წინად გურიაში მოვიდა ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც თითქმის გურიის ყველა საზღგადოება დაიარა. გურიის გლეხებმა თავიანთ გაჭირვებაზედ მიართვეს თხოვნები.

„გლეხის შვილი".

## წვრილი ამბები

—

რუსეთში ქალაქების მოწყობის შესახებ შეკრებილია შემდეგი ცნობები: 1084 ქალაქების შორის ელექტრონის განათება არის მხოლოდ 75-ში, გაზის 33-ში. მეტ ნაწილად ანათებენ უმთავრესს ქუჩებს. 193 ქალაქი მოკლებულია ყოველგვარ განათებას. კანალიზაცია 38 ქალაქშია მოწყობილი. უწმინდურების გატანა იშვიათი მოვლენაა. ქუჩები მოკირწყლულია 14 ქალაქში, 320 ქალაქის ქუჩები სრულიად მოუკირწყლავია. ყველა ქალაქების ორ მესამედ ნაწილში საშუალო სასწავლებელი არ მოიპოვება. ორს ქალაქს მაკარიევს და კუცნოს არც ერთი ექიმი არა ჰყავს.

## საყურადღებო დეპეშების შინაარსი.

გაზეთებიდან.

—

პეტერბურგი. სახემწიფო სათათბიროსთან არსებობს ცალკე სამამულო კომისია, რომელმაც უარჰყო მცირე კომისიის ის აზრი, რომ თავისუფალი სახემწიფო მამულები გლეხებს უფასოთ დაურიგდეს.

პეტერბურგი. ხოლერით ავად გახდა 17, გარდაიცვალა 5, ავად არის 244 კაცი.

ბრიუსელი. ბოოში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 6 კაცი.

## ახალი ამბები

—

✦ ბათუმიდან იწერებიან: დღეისწორს დაასაფლავეს გ. ვოლსკი. გამოსვენებაზე დაესწრნენ სამხედრო გუბერნატორი რომანოვსკი, პოლიცამეისტერი პანინი, ქალაქის თავი ანდრონიკაშვილი, გამგეობის წევრნი სახნოვსკი და ჟურული, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი სამღვდელოებით და ადგილობრივი განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენელნი. დილის 9 საათზე ეპ. ლეონიდმა გადაიხადა პანაშვიდი, რომლის შემდეგ განსვენებული წაასვენეს ძველ სობორო-

…ობას და „ხაზეინობას" მოინდო-…მით ხოლმე. რაც გინდ სიტყვი-…ად კარგად შეისწავლო რომე-…იმე დარგი, თუ ჯერ სხვის უკვე …ყენებულ საქმეში, სხვის ზედამ-…ხედველობის ქვეშ პრაქტიკულად არ …შეისწავლე იგი, არ ივარჯიშე, არ …გამოიცადე, ისე შენს საკუთარს სა-…ქმეს რიგიანად ვერ დააყენებ. მე …მეცნიერულად კარგად მომზადე-…ბულმა თბილისში ერთ გამოცდილ …მებაღესთან დიდხანს დღიურ მუშათ …ახლდით სულ მცირე სასყიდლით. …მას თქვენებური ნასწავლი აგრო-…ნომები ხომ არ იკადრებენ. შემდეგ …რამდენიმე ხანი თვიურ ჯამაგირზე …ვყავი და მხოლოდ შემდეგ, რო-…დესაც ეს საქმე ჩინებულად, გავი-…ცან აქაური ბუნება, ხალხი, მის მო-…თხოვნილება გემოკნება, გამოჩნდა …ცოტაოდენი ფულიც, უფრო მეტი …სესხი, მხოლოდ მერე შევუდექი ჩემ …საკუთარ საქმეს. არც მოგატყუვდი: …მე დაწყებამდის ვიცოდი უკვე თუ …ან რა ხარჯი მომელოდდა, ან რა …შემოსავალი. იყო წელიწადები, რო-…დესაც ჩემი პატარა საქმე, ჩემი პა-

ტარა თანხით შექმნილი ექვსას თუმანს მაძლევდა წელიწადში. როგორ მოხდა ეს, ჩემო მეგობარო, მკითხა დაცინვის კილოთი, რომ თქვენ ძნელ მოუხეშავ ხალხში (სულ იმათი ხელით ვგლეჯ მე ნარს) უთანხოთ ჩამოსულმა, საქმე შევქმენ? როგორ მოხდა...

— მართლადაც და როგორ მოხდა, ჩაუმატე მე ჩემ გულში, რომ ამ უცხო კაცმა, უცხო ქვეყანაში, უფულომ რამოდენიმე წელს შეიძინა თბილისში საკუთარი მოზდილი ბაღი, შეამკო იგი საჭირო შენობებით, გახსნა საკუთარი თესლეულობის და ცალკე კიდევ ყვავილების მაღაზია და სხვა... ჩვენი აგრონომები-კი ამ დროს კანცელარიის დერეფნებს ლესავენ ამაოთ... ეხ, მახლას!..

იერემია გულისაშვილი.

ში. კუბოს ამშვენებდა 30-დე გვირგვინი. წირვა გადახდილ იქმნა ქართულად, ხოლო რუსულად გალობდა. სობოროდან მიცვალებული წაასვენეს ახალ ეკლესიაში და დაასაფლავეს მის გალავანში. სიტყვები წარმოსთქვეს ევ. ლეონიძემ, კ. მესხიმ, კლდიაშვილმა, ანდრონიკაშვილმა და ტფილისის ქართულ გიმნაზიის ერთმა მოწაფე დეპუტატმა.

✦ გორიდან (ზემო ქართლი) გვატყობინებენ გლეხთა დიდ გაჭირვებას მოუსავლობის გამო. ჯერ ყინვებმა და შემდეგ გვალვამ მთლად წაახდინა მოსავალი. გლეხები ახლავე სულ მცირე ფასად ჰყიდიან ყასბებზე საქონელს.

✦ გერმანელთა ახალშენში ეკატერინენფელდში საკმარისი ყურძნის მოსავალი ყოფილა: 373 დესეტინის სივრცის ზვრებში 156 000 ვედრა ღვინო დაუწურავთ.

✦ პურის ბირჟაზე (ვოგზლის ახლო) ვაჭრობა სწარმოებს დილით 10—12 საათამდე. ბლომად იყიდება ფქვილი, ხორბალი, ქერი და სხ.

✦ ვერის მოედანზე გასასყიდათ ჩამოაქვთ ყოველ დღე 30—40 ურემი შეშა, კვირაობით კარტოფილი, კომბოსტო.

✦ ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებად „მომავალის“ რედაქციას მოუვიდა: განჯაში შეკრებილი 2 მ. 5 კ. და ბლაგოვეშჩენსკში შეკრებილი 17 მ.

✦ იმავე რედაქციას მოუვიდა ტფილისის მხატვართა ცეხში შეკრებილი 7 მ. 35 კ. განსვენებულ ხევერიან ჯუღელის ოჯახობის სასარგებლოდ.

✦ დღეს, დილის 11 საათზე ტფილისის თავად-აზნაურთა საკრებულოში დაიწყება კრება ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებისა.

✦ დღეს დილით, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ალ. ი. ხატისოვი წაიკითხავს ლექციას ერობის შესახებ.

✦ „დროებას“ დუშეთიდან ატყობინებენ, ამ დღეებში ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს მოუკლავთ მამა შვილი, თეთროაშვილები. პოლიციას ეჭვი მიუტანია უნდილაშვილებზე

✦ კულაშიდან იწერებიან, რომ იქ გაიხსნა უფასო სამკითხველო, რომლის გამგეა კნეინა პელაგია მიქელაძისა. 18 ოქტომბერს გაიმართება სამკითხველოს სასარგებლოთ საღამო და წარმოდგენა

✦ თავ. გიორგი ამილახვარს 1500 ქცევა მიწა აქვს შორაპნის მაზრაში, რომელიც ადგილობრივ გლეხთათვის უნდა მიეყიდნა ქცევა ოთხ თუმნათ. უსახსრობის გამო გლეხებმა ვერ შესძლეს ამოდენა ფულის გადახდა. მაშინ მემამულე დაემუქრა მოძრაობის დროს ტყის გაჩეხაში 6000 მან. ჯარიმის გადახდევინებას და თავის მოურავს უბრძანა აეწერა ყველა ახალი სახლები, რომელიც ვითომ ნაპარავ მასალით აეშენებინოთ. გლეხებმა მიმართეს დეპუტატ გეგეჭკორს და ამან კავკასიის ნამესტნიკს. ნამესტნიკმა განკარგულება მოახდინა, რომ ეს საქმე სასამართლოს გადაეცეს გასარჩევათ.

✦ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ იქონია მსჯელობა ქართულ სტამბის ორასი წლის არსებობის იუბილეიზე. უნდა გაიმართოს გამოფენა ყოველ გვარ ნაბეჭდ ნიმუშებისა, სასტამბო იარაღისა, მოეწყოს ლექციები და გამოიცეს სახალხო წიგნაკი სტამბის ისტორიის შესახებ, შესდგეს სია ყველა დაბეჭდილ წიგნებისა და კრება ბეჭვდის საქმის მოღვაწეთა.

✦ 14 ოქტომბერს, კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა თელავის მაზრის სოფ. შილდას მცხოვრებს ილია ასაბაშვილს, თფილისის მაზრის სოფ. საგარეჯოს—გიორგი შაქარაშვილს, თელავის მოქალაქეს ალექსი არუთიუნოვს და რაჭის მაზრის სოფ. ვალევის მცხოვრებს ივანე ქელბაქიანს. მათ ბრალდებოდათ შაბათს, 4 ივლისს, თელავის მცხოვრების მიხეილ ტერ-არუთიუნოვის გატაცება, რომლის გამოსასყიდათ მშობლებს მოსთხოვეს 20 ათასი მანეთი, მარა მოლაპარაკების შემდეგ აიღეს 800 მან.

✦ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა გადასდოს მან ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან 3,000 მანეთი მთელი მხარის მეურნეობის შესახებ სტატისტიკური მიმოხილვის შესადგენათ.

✦ თფილისის მაზ. სოფ. პატარძეულში სეტყვას საშინლათ გაუფუჭებია ვენახები. სამაზრო ადმინისტრაციის გამოანგარიშებით ზარალი აღემატება 4,500 მან.

✦ ფოთი. ფინანსთა მინისტრმა ნება დართო გაიხსნას ფოთში ქალაქის საზოგადო ბანკი.

### ქუთაისი.

✦ 10 ოქტომბერს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება. კრებამ შეიმუშავა გეგმა თუ როგორ მოეწყოს პირველ დაწყებითი კურსები მუშებისთვის და მსურველთათვის. განზრახულია პირველათ სამ ჯგუფათ დაყოფა მსურველების. ახლო მომავალში შეუდგებიან მეცადინეობას.

რედაქტორ გამომცემელი
დარია ხრამელაშვილისა.


# განცხადებანი

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა.

კოოპერაცია

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

## განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაშია

პირველი კავკასიის სტენოგრაფიული კურსები

## თ. აკოფიანისა.

ტფილისი, მიხეილის პროსპ., № 53.

შესდგება მე-3-მე ჯგუფი მსმენელთა ორთავე სქესისა.

სტენოგრაფია ხელოვნებაა ისეთივ ჩქარის წერისა, როგორც ლაპარაკი. იგი საჭიროა ყოველ განათლებულ ადამიანისათვის. სწავლის დასაწყისი 15 ოქტომბერს ამა წლის. მიიღებიან სადამოს 4—7½ საათ პროგრამა, პირობები და სტენოგრაფიის მნიშვნელობა ეძლევათ კურსების სადგომში კურს დამთავრებულნი თითო წამს 120 სიტყვას სწერენ და ეძლევათ მათ სათანადო დიპლომი (10—5)



პირველი ქარხ[illegible]
## კაუჩუკი
შტემპელებისა

## ე. გ. კოგრეზეცკი

ტფილისში, ლონდონის სასტუმროს ქვ[illegible]
ბეჭედი და შტემპელი, კლიშე, სტ[illegible]ბის საქმეები.

(4—3)

სტამბა „გუტენბერგი“

[illegible] № 1.

[illegible] № 14.




# ფეხსაცმელების მაღაზია
## ა. ა. ტერ-ზახაროვისა-შვილებით.

ამა წლის ენკენისთვის რიცხვებიდან გადავიდა კიროჩნის ქუჩაზე, № 10, სახალხო სახლის გვერდზე. ვაუწყებ პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ ვასრულებ შეკვეთილ საქმეს 6 საათის განმავლობაში.

(1—1)



# ალმეზა.

ა ლ მ ე ზ ა სულ, ერთ წუთში სპობს კბილის ტკივილს, აგრეთვე კარგავს პირის სიმყრალეს, და აჩერებს სისხლის დენასა. ამაგრებს კბილებს, ზრდის ნონებსა.

აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში და მოგზაურობის დროს. ფასი ნორ მალური ფლაკონისა 1 მ. 20 კ. საცდელი. ფლაკ. 40 კ.

## თმის საშვალება პრიმა.

პრიმა აჩერებს თმის ცვენასა, სპობს უცბათ თავის ქერტლსა. აგრეთვე თმა იღებება შემდეგ რამოდენიმე ხმარებისა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

### საყურადღებოთ ციებ-ცხელებით ავათმყოფებისათვის.

ჩვენი ციების წამალი სპობს სულ მოკლე დროში ძველს და ახალს ციებ-ცხელებასა ფასი 1 მ. 50 კ.

დარიგება ყველას თან ახლავსთ. ვგზავნით ფას დადებით. საჭიროა ბე ერთი მესამედი. კანტორა და სკლადი თფილისი ქუჩა ნეკრასოვისა № 14 ვორონცოვის. ძ. ძეგლის მახლობლათ.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისა ი. ახობაძე.

Кантора и складъ „Т“. Тифлисъ Некрасовская улица № 14 И. Ахобадзе.